საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/16 **31/08/2022**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს

რეცენზია

საქართველოს ოჯახის ექიმთა ასოციაციის მიერ წარმოდგენილი უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამა „კომუნიკაციის სტანდარტების დანერგვა სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვის ხელშესაწყობად“ აქტუალურია როგორც პირველადი ჯანდაცვის რგოლის, ასევე, სხვა სპეციალობის ექიმებისათვის.

პროგრამას საფუძვლად უდევს „კომუნიკაციის სტანდარტები“, რომელიც მომზადებულია დარგის ექსპერტების მიერ ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის „ონკოგინეკოლოგიური სერვისების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა დასავლეთ საქართველოში“, ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს „მედევაკის“ პროგრამის ფარგლებში.

კომუნიკაციის სტანდარტში ასახული ბიოეთიკის ძირითადი პრინციპებისა და საექიმო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების გაცნობა ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა სპეციალობის ექიმების საქმიანობისათვის და ისევე, როგორც ნებისმიერი მნიშვნელოვანი საკითხი, საჭიროებს პერიოდულად უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განახლებას.

სასწავლო კურსი მოიცავს ექიმისა და პაციენტის კომუნიკაციის ყველა მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს, როგორიცაა პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო კონსულტაცია, პაციენტის უფლებები, ავტონომია, მისი ღირსების დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის პირების კონსულტირების თავისებურებები, ბავშვის კონსულტირების თავისებურებები, სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის წესები, კონსილიუმისა და ეთიკის კომისიის საქმიანობის პრინციპები. აღნიშნული საკითხების ცოდნა დაეხმარება ექიმებს მიიღონ მართებული გადაწყვეტილება რთულ სიტუაციებში და ამკვიდრებს პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურების მოდელს.

აღსანიშნავია, რომ ეთიკურ საკითხების და მოქმედი კანონმდებლობის კარგი ცოდნა აუმჯობესებს არა მარტო ექიმი-პაციენტის ურთიერთობას, არამედ ხელს უწყობს სამედიცინო და სხვა პერსონალის უფლებების დაცვას, ექიმის პროფესიული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

სასწავლო კურსში გამოყენებული ინტერაქტიული სწავლების მეთოდოლოგია შესაბამისობაშია მოზრდილთა სწავლების რეკომენდებულ პრინციპებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი დადებითად აფასებს წარმოდგენილ უწყვეტი პროფესიული განვითარების სასწავლო პროგრამას **„კომუნიკაციის სტანდარტების დანერგვა სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტისა და სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვის ხელშესაწყობად“** და რეკომენდაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

პატივისცემით,



ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი